საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
„საწარმოთა მართვის სააგენტო"

GEORGIA
Legal Entity of Public law
,,Enterprise Managment Agency''

№33-262/6-11 „08" 02 2011 წ.

თქვენი ______

შპს „სიონი-მ"

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტომ" განიხილა თქვენი 2011 წლის 07 თებერვლის №110 წერილი და აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 03.01.2006წ-ის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 22.10.2010წ-ის №9 ბრძანების მე-14 მუხლის $1^1$ პუნქტის თანახმად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი წერილში აღნიშნული საქონლის შესყიდვა (ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს) განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

ამასთანავე განგიმარტავთ, რომ პასუხისმგებლობა კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

თავმჯდომარე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი

შპს "სიონი-მ"
შემოსული წერილი
204524568
№ 20
„08" 02 2011 წ.

0108 ქ.თბილისი, ჭანტურიას ქ. №12
№12 Chanturia str. Tbilisi, Georgia, 0108
ტელ.: (995 32) 93 11 76 / 93 22 91
Tel.: (995 32) 93 11 76 / 93 22 91
www.ema.gov.ge